ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 530

7 ოქტომბერი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „მარი ნიკას" (ს/ნ. 430805186) შორის 2022 წლის 11 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ელექტრომობილის დასამუხტი (ე.წ. „ნელი დამტენის") აპარატების დამონტაჟებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულებით" დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ვ" ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „მარი ნიკას" (ს/ნ. 430805186) შორის 2022 წლის 11 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ელექტრომობილის დასამუხტი (ე.წ. „ნელი დამტენის") აპარატების დამონტაჟებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულებით" დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 21 სექტემბრის №22.1460.1592 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „მარი ნიკას" (ს/ნ. 430805186) შორის 2022 წლის 11 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ელექტრომობილის დასამუხტი (ე.წ. „ნელი დამტენის") აპარატების დამონტაჟებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულებით" პირველი პუნქტის 1.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული

ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2 ქვეპუნქტის შესაბამისად, დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან 9800 (ცხრა ათას რვაასი) ლარის ოდენობით შპს „მარი ნიკას“ (ს/ნ. 430805186) გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე